მესამე გამარჯვება

24 მაისის 4 საათია. ლ. პ. ბერიას სახელობის “დინამოს” სტადიონზე უკვე ტევა არ არის. მაყურებელთა ასეთი ინტერესი გასაგებია. ამ დღეს საფეხბურთო მოედანზე ერთმანეთს უნდა შეხვედროდნენ სსრკ პირველობის გათამაშების ორი უძლიერესი გუნდი – მოსკოვის ცდკა და თბილისის “დინამო”.

სრულ 5 საათზე მოწინააღმდეგეები გამოდიან მოედანზე. დაიწყო თამაში.

პირველი ხუთ წუთიანი ბრძოლა მოსკოველთა უპირატესობით აღინიშნა. ცდკას თავდამსხმელთა ხუთეული, ცნობილი ფეხბურთელის – ფედოტოვის მეთაურობით შეტევას აწარმოებდა მარცხენა ფრთიდან და ქმნიდა კრიტიკულ მომენტებს. თამაშის პირველი წუთებიდანვე მოპოვებული უპირატესობა სტუმრებმა ტაიმის 30-ეწუთამდის შეინარჩუნეს, ხოლო ანგარიში უცვლელი დარჩა – 0:0.

31-ე წუთიდან გამოცოცხლდა “დინამოს” თავდამსხმელთა ხუთეულის თამაში. პაიჭაძე და ჯეჯელავა ხშირი სტუმრები გახდნენ ცდკას საჯარიმო მოედნისა. 37-ე წუთზე თბილისის “დინამოს” თავდამსხმელთა ხუთეულის შუამარბი ბ. პაიჭაძე ოსტატურად არღვევს მოწინააღმდეგის დამცველთა მარჯვენა ფრთას – უსხლტება 4 მოთამაშეს და ძლიერი დარტყმით აგზავნის ბურთს ცდკას კარში. სტუმრების მეკარის სხარტი ნახტომი ზუსტი არ აღმოჩნდა – ბურთი მოხვდა ბადეს.

პირველი ტაიმი დამთავრდა დინამოელთა სასარგებლოდ. ანგარიშით – 1:0.

თამაშის მეორე ნახევრის დასაწყისში მოსკოველები შეეცადნენ ანგარიშის გათანაბრებას, მაგრამ ცდა უშედეგო აღმოჩნდა. მე-15 წუთზე დინამოელთა თავდასხმის მარჯვენა ფრთამ გაითამაშა შესანიშნავი კომბინაცია, რომელიც დაბოლოვდა ჯეჯელავას ძლიერი დარტყმით კარში. მეკარისაგან უკან დაბრუნებულ ბურთს მეორეჯერ ურტყამს მ. ბერძენიშვილი, მაგრამ მას იგერიებს ცდკა–ს დამცველი. დამცველისაგან მოგერიებულ ბურთს მესამედ ძლიერად ურტყამს პაიჭაძე და ზუსტად გზავნის მოწინააღმდეგის კარში. ანგარიშია 2:0 თბილისელთა სასარგებლოდ.

ცდკა–ს მარცხენა გარემარბი ფედოტოვი იძულებულია გადავიდეს მარჯვენა ფრთაზე და ამით თამაშის ერთგვარი სიახლე შეიტანოს თავის გუნდში. ის ნაწილობრივ აღწევს მიზანს. შავგულიძეს და ფროლოვს ყურადღების ცენტრი გადააქვთ მარჯვენა ფრთაზე, ხოლო ჯორბენაძე კარგავს თავის ადგილს. ეს კი ღიად დატოვებულ მარცხენა გარემარბს მეტი მოქმედების საშუალებას აძლევს; 27-ე წუთზე მას ფედოტოვისგან მიღებული ბურთი გააქვს თბილისელთა კარში.

ეს იყო უკანასკნელი ბურთი. მესამე კალენდარული მატჩი სსრკ პირველობაზე დამთავრდა თბილისის “დინამოს” გამარჯვებით ანგარიშით – 2:1.

ვ. გ–ლია.
“ახალგაზრდა კომუნისტი”, 26 მაისი, 1939 წ.